ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 8-20

“ 26 ” დეკემბერი 2017 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის N17-66 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 06.07.2015, სარეგისტრაციო კოდი: 010260050.35.101.016179) შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, “საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილების შესაბამისად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:“

2. დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის“ (დანართი №1):

ა) პირველი მუხლის :

ა.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ეს წესი არეგულირებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 – 2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამებიდან დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის პირობებს, დაზარალებული ოჯახების სოციალურ-სამართლებრივი მდგომარეობის შესწავლის, შეფასებისა და მათთვის დახმარების აღმოჩენის კრიტერიუმებს.“

ა.ბ) მე-3 და 3[1] პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 - 2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამებიდან დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფისა და უძრავი ქონების დათმობასთან დაკავშირებულ პროცედურებს ახორციელებს თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), ხოლო სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემას ახორციელებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოსა და ვაკის რაიონის გამგეობები (შემდგომში - გამგეობა) მოქმედი კანონმდებლობითა და ამ წესით დადგენილი პროცედურების დაცვით.“

„3[1]. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამებიდან დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) დახმარება ხორციელდება 2018 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით, გარდა ამ წესის მე-6 მუხლის 3[1] პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა“.

ბ) მე-6 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. დაზარალებულ ოჯახებს, რომელთა საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ განცხადებებიც დაკმაყოფილდა, სააგენტოსთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მიეცემათ ორთვიანი ვადა ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული

ღირებულების ფარგლებში, საცხოვრებელი სახლის/ბინის შეძენისათვის. დაზარალებულ პირს (ოჯახს), რომელსაც არ გააჩნია სხვა საცხოვრებელი ფართი, ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 - 2018 წლების ბიუჯეტებით დადგენილი წესით მიეცემა ფულადი თანხა, საცხოვრებელი ფართის დაქირავების მიზნით, ხოლო თუ იგი ხსენებულ ვადაში ვერ შეიძენს საცხოვრებელ სახლს/ბინას, მას აღარ მიეცემა ფულადი თანხა საცხოვრებელი ფართის დასაქირავებლად.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**